

ფემინისტური ბიბლიოთეკა



ლესბოსური ფემინიზმი

ელაიზა ჩინიერი

1970-1980-იან წლებში, შეერთებულ შტატებში, კანადასა და ბრიტანეთში, ლესბოსური ფემინიზმი დომინანტური იდეოლოგია იყო პოლიტიზირებულ ლესბოსელებს შორის. ლესბოსელობისა და ფემინიზმის ცნებების ღრმა შინაარსობრივ ურთიერთკავშირის გამო, ამ ორი სიტყვას ხშირად იყენებდნენ მყარ შესიტყვებად.

ლესბოსურმა ფემინიზმმა მკვეთრად გააკრიტიკა პატრიარქატი და ინსტიტუციონალიზებული ჰეტეროსექსუალობა. მისი მტკიცებით, ეს მამაკაცის დომინანტურობის გამყარების პოლიტიკური იარაღი იყო. პრაქტიკული თვალსაზრისით ლესბოსური ფემინიზმი გამოვლინდა როგორც ერთგვარი ცხოვრების სტილი, რაც აისახებოდა ფაქტიურად ყველაფერში - თმის ვარცხნილობითა და ჩაცმულობით დაწყებული, სექსუალურ ქცევით დამთავრებული. საერთო ჯამში მისი გავლენა საკმაოდ დიდი იყო, თუმცა შედეგები არაერთგვაროვანი.

წარმოშობა

გვიანდელ 1960-იან წლებში, სხვა სოციალურ ჯგუფებს შორის, რომლებიც დისკრიმინაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ, იყვნენ ლესბოსელებიც. ისინი, ვინც შეუერთდნენ გეების განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხშირად განიცდიდნენ იმედგაცრუებას სექსისტური დამოკიდებულების გამო მამაკაც წევრთა უმრავლესობის მხრიდან. მენსტრიმული ფემინიზმიც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ლესბოსელი ქალი იყო ფემინისტურ ორგანიზაციებში გაწევრიანებული, არ ამუღავნებდა კეთილგანწყობას ამ ჯგუფის მიმართ. ისინი ღიად გაურბოდნენ იმას, რომ ლესბოსელი ქალი ფემინისტური ორგანიზაციის სახე გამხდარიყო.

1970 წელს ქალთა ნაციონალური ორგანიზაციის ([NOW](#)) პრეზიდენტმა ბეტი ფრიდანმა ლესბოსური საკითხების ამ ორგანიზაციის პლატფორმაში ჩართვა და წინ წამოწევა “ფარულ საფრთხედ” გამოაცხადა. ამას მოჰყვა რეაქცია გლორია სტიმენის მხრიდან, რომელმაც თქვა, რომ ფემინიზმი რევოლუციაა და არა სახალხო მოძრაობა, და 1971 წელს ქალთა ნაციონალური ორგანიზაციის წევრებმა კენჭისყრის შედეგად აღიარეს ლესბოსური საკითხების ჩართვის აუცილებლობა ფემინისტურ საკითხებში.

ქალის მიერ განსაზღვრული ქალი (ქალისმიერი ქალი)

1970 წელს ფრიდანის ფრაზამ მყისიერი გამოხმაურება ჰპოვა იმ ქალთა ჯგუფში, რომლებიც თავიდან საკუთარ თავს “ფარულ საფრთხედ” მოიხსენიებდნენ, შემდეგ კი

“რადიკალ ლესბოსელებად” გახდნენ ცნობილნი. მათი მოკლე მანიფესტი “ქალისმიერი ქალი” აღიარებულია, როგორც ლესბოსურ-ფემინისტური პოლიტიკის პირველი განაცხადი.

მისი ავტორები აცხადებენ რომ ლესბოსელები და ლესბოსელობა ფემინისტური მოძრაობის არა პერიფერიული, არამედ ცენტრალური მნიშვნელობის საკითხია. ისინი ამტკიცებენ, რომ ქალის კავშირი ქალთან მამაკაცისგან დამოუკიდებლად და ქალის მიერ იდენტიფიცირებული ქალი ძალაუფლებას ართმევს მამაკაცს და ძირს უთხრის პატრიარქატს. სანამ ქალი მამაკაცის და მამაკაცური ინსტიტუტების შეფასების გზით განისაზღვრება, იგი დამოუკიდებელ, ავტონომიურ არსებობას ვერ შეძლებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლესბოსელისა და ჰომოსექსუალის კატეგორიას ამ მანიფესტის ავტორები აღიქვამდნენ არა როგორც არსებით იდენტობის გამოხატულებას, არამედ როგორც ჰეტეროსექსუალური პატრიარქატის შედეგს. მათ სჯეროდათ, რომ ეს კატეგორიები დაკარგავდნენ თავის მნიშვნელობას, რომ არ არსებულებოდა ქალის ჩაგვრა და ყველას რომ ჰქონოდა საკუთარი გრძნობების მიხედვით ცხოვრების შესაძლებლობა.

“ქალის მიერი ქალი” და ის ნაშრომები, რომლებიც მას მოჰყვა, ყურადღებას ამახვილებს ზოგადად სექსუალობის მნიშვნელობაზე ფემინისტურ თეორიასა და პრაქტიკაში და ეხმიანება ფემინისტური მოძრაობის უფრო ფართო მასშტაბის მცდელობებს, რომლებიც პირადი ქცევების პოლიტიზირებისკენ იყო მიმართული, როგორცაა საშინაო საქმის, ბავშვის მოვლისა და მშობიარობის კონტროლის საკითხები. ამ ნაშრომებში არა მხოლოდ ქალური ჰომოსექსუალობის ევოლუციის ხელახალი პოზიტიური გააზრებაა წარმოდგენილი, არამედ ჰეტეროსექსუალობის მძაფრი კრიტიკაც.

მაგალითად, “სოფლის ხმის” (Village Voice) პოპულარული ჟურნალისტის ჯილ ჯონსტონის 1973 წელს გამოცემული წიგნი “ლესბოსური საზოგადოება: ფემინისტური გადაწყვეტა” (Lesbian Nation: The Feminist Solution) რომანტიკას ნარკოტიკს, გამაბრუებელ საშუალებას ადარებს, ხოლო მონოგამიას აღიქვამს, როგორც ქალის მუდმივ, საშინაო მონობაში ჩათრევის ხერხს. “ეს იწყება მაშინ, როცა შენ მის მკლავებში იძირები და მთავრდება, როცა შენი მკლავები მის განკარგულებაშია.” ამბობს ჯონსტონი და მიიჩნევს რომ ყველა ქალმა უნდა უარყოს თავისი ფემინურობა და მასთან დაკავშირებული პასიურობა, უნდა უარყოს მონოგამურობა და უფრო აგრესიულად ისწრაფვოდეს სექსუალური სიამოვნების ძიებისკენ. მისი აზრით ეს არის გზა, რომელიც ქალმა უნდა გაიაროს საკუთარი ავტენტური “შე”-ს აღმოსაჩენად.

პოლიტიკური ლესბოსელები

ლესბოსელი ფემინისტები მიიჩნევენ, რომ სექსუალური სურვილი არ შეიძლება იყოს პოლიტიკურად განპირობებული, მაგრამ ამავე დროს ლესბოსელობას განსაზღვრავდნენ, როგორც პოლიტიკურ არჩევანს. “პოლიტიკური ლესბოსელებისთვის” სავალდებულო არ იყო ქალთან ინტიმური კავშირის დამყარება, მაგრამ, როგორც წესი, ისინი არ ქორწინდებოდნენ. ანა კოერდტის გახმაურებული ნაშრომის შემდეგ, რომელიც კლიტორალური და ვაგინალური ორგანოების პოლიტიკურ ანალიზს წარმოადგენს, ლესბოსელი ფემინისტები მოუწოდებდნენ

ლესბოსელებს, თავი შეეკავებინათ ისეთი “მამაკაცური ქცევისგან”, როგორცაა ვაგინალური და სხვა სახის შეღწევადი სექსი და პორნოგრაფიის გამოყენება.

მოკლე ვარცხნილობა, ჯინსები, კუბოკრული პერანგი და სამუშაო მაღალყელიანი ფეხსაცმელები საკმაოდ გავრცელდა ახალგაზრდა ქალაქელ ქალებს შორის. ჩაცმულობის ამგვარი სტილი, სადაც უკუგდებულა ფემინურობა, კარგად გამოხატავდა ლესბოსელი ფემინისტების ესთეტიკას, რომელიც ემიჯნება ჰეტეროსექსუალობასა და კლასობრივ პრივილეგიებს.

“ბუჩი” და “ფემი”

ლესბოსელი ფემინისტები ემიჯნებოდნენ “ბუჩისა” და “ფემის” სუბკულტურას. ეს განხლდათ ლესბოსური კულტურის ერთადერთი არსებული განშტოება იმდროინდელ საზოგადოებაში. ლესბოსელი ფემინისტები, როგორცაა დელ მარტინი, ფილის ლიონი, ჯილ ჯონსტონი და ბრიტანელი ავტორი შეილა ჯეგრისი, აკრიტიკებდნენ მათ, რადგან თვლიდნენ რომ ბუჩები მამაკაცურობასთან ახდენდნენ თვითიდენტიფიკაციას, ხოლო ფემები ქალურ პასიურ მდგომარეობაში რჩებოდნენ. ასეთი როლური ქცევა კი ჰეტეროსექსუალური კავშირის მიმბაძველობა იყო, რაც პატრიარქატის განმტკიცებას უწყობდა ხელს და წინააღმდეგობაში მოდიოდა ფემინიზმთან.

საინტერესოა ასევე ის, რომ ბუჩი და ფემი ქალები საკუთარ თავს გეებად მოიხსენიებდნენ, რადგან ტერმინ ლესბოსელის სემანტიკაში, მათთვის გონებრივად დაავადებულის დამატების მნიშვნელობაც იგულისხმებოდა. ლესბოსელი ფემინისტები კი არ გაურბოდნენ ამ ტერმინს, პირიქით, მათ მიაჩნდათ, რომ მას საამაყო ეტიმოლოგია აქვს და იყვნენ პირველნი, ვინც ეს სიტყვა სოციო-სექსუალური იდენტობის პოზიტიურ მსაზღვრეულად გამოიყენეს. მართლაც, ამ გზით ლესბოსელმა ფემინისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოციო-პოლიტიკური კავშირების გაძლიერების საქმეში, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს იზოლაციის, სტიგმის და იმ საკანონმდებლო პრობლემების დაძლევას, რომლებსაც ხშირად აწყდებოდნენ ჰომოსექსუალები.

დროთა განმავლობაში სექსუალობის კომპონენტი ლესბოსურ ფემინიზმში უკანა პლანზე იწევს. შარლოტა ბანჩის 1972 წლის სტატია “ლესბოსელთა ამბოხი” ლესბოსურ ფემინიზმს წარმოაჩენს, როგორც განურჩევლად ყველა ქალის ჩაგვრისგან გათავისუფლები გზას. იგი ამტკიცებს, რომ “ლესბოსელობა საფუძველს ურყევს მამაკაცის უპირატესობას” არა იმიტომ, რომ ქალები ერთმანეთთან სექსუალურ კავშირს ამყარებენ, არამედ იმიტომ, რომ ხდება ძალაუფლებრივი ბერკეტების ჩამოცილება მამაკაცისგან. ბანჩი ჩაგვრისგან გამათავისუფლებელი სხვა მოძრაობების გავლენასაც განიცილიდა, მას სჯეროდა, რომ მამაკაცის დომინანტობის რღვევის შედეგად დაიძლეოდა რასიზმი, კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი. 1973 წელს, შარლოტამ რიტა მაე ბრაუნთან და სხვა ლესბოსელ ფემინისტებთან ერთად დაარსა ჟურნალი (quest: a feminist quarterly), რომელიც მიზნად ისახავდა დებატების პროვოცირებას და ფემინისტური თეორიის გავითარებას. ჟურნალი გამოდიოდა სამ თვეში ერთხელ 1974 წლიდან 1984 წლის ჩათვლით და ლესბოსური ფემინიზმის ერთ-ერთი წამყვანი თეორიული გამოცემა იყო.

ერთობლივი ღონისძიებები და ლესბოსური სეპარატიზმი

ქალების, გეებისა და ლესბოსელების გამათავისუფლებელ ბრძოლაში ერთობლივი ძალისხმევები და ღონისძიებებიც შედიოდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციასთან (APA) ჩატარებული სამუშაოა. ამ ასოციაციის კლინიკური პრაქტიკა და დიაგნოსტიკა ჰომოსექსუალობას პათოლოგიად მოიაზრებდა. ქალების, გეებისა და ლესბოსელთა ჯგუფის საერთო აქტივიზმის პირდაპირი შედეგი იყო ის, რომ ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის ყოველწლიური შეხვედრების განმავლობაში, 1971-დან 1973 წლამდე, მოხერხდა ჰომოსექსუალობის გონებრივი დაავადებების სიიდან ამოღება.

ერთობლივმა ღონისძიებებმა საგრძნობლად იკლო 1972 წლის რიტა მაე ბრაუნის გამოსვლის შემდეგ, რომელშიც მან ლესბოსური ფემინიზმი ავტონომიურ მოძრაობად გამოაცხადა, ხოლო განსხვავება ჰეტეროსექსუალ ქალებსა და ლესბოსელებს შორის აღწერა, როგორც “განსხვავება რეფორმასა და რევოლუციას შორის”. მისი აზრით ინტიმური ურთიერთობის შენარჩუნება მამაკაცთან მტერთან თანამშრომლობის ტოლფასი იყო.

ბრაუნის ეს გამოსვლა ლესბოსური სეპარატიზმის დასაწყისი გახდა. მან დიდი გამოხმაურება ჰპოვა ბრიტანეთის, შოტლანდიისა და ავსტრიის ლესბოსელებს შორის და გადაიზარდა კულტურულ მოძრაობასა და იდეოლოგიაში. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ ლესბოსელი ფემინისტები უფრო მიდრეკილნი იყვნენ ქალთა მოძრაობასა და გეების მოძრაობასთან თანამშრომლობისკენ, “ქალის მიერ განსაზღვრული ქალის” ცნობიერებამ, რაც ქალის გათავისუფლების გზად ესახებოდა ლესბოსურ-სეპარატიზტულ ფემინიზმს, მთელს ინგლისურენოვან ფემინისტურ საზოგადოებაში ჰპოვა გამოძახილი.

ლესბოსური საზოგადოების შენება კულტურული ინდუსტრიების შექმნით დაიწყო, სადაც ქალის უნარები და შესაძლებლობები უფრო გამოვლინდებოდა და დაფასდებოდა. 1972 წელს დაარსდა “ოლივია რეკორდსი”, რომელმაც დაიწყო ისეთი პოპულარული ლესბოსელი ფემინისტი მომღერალების ჩაწერა, როგორცაა პოლი ნიარი და ლორენ სეგატო, რომელიც მხოლოდ ქალთა საზოგადოებისთვის მართავდა წარმოდგენებს. დაარსდა “ნაიად პრესი” (1973-2004), სადაც ინტენსიურად იბეჭდებოდა ლესბოსური პოეზია, მხატვრული თუ სხვა სახის ლიტერატურა. ქალაქებში გაჩნდა წიგნის მაღაზიები და საზოგადოებრივი ცენტრები, რომლებსაც ლესბოსური საზოგადოების წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ.

კულტურისა და პოლიტიკის შერწყმის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი იყო ასევე მიჩიგანის მუსიკალური ფესტივალის დაარსება, რომელიც მხოლოდ ქალებისთვისაა განკუთვნილი და 1976 წლიდან მოყოლებული ყოველი წლის აგვისტოს თვეში იმართება ლესბოსელთა მცირე ჯგუფის მიერ შესყიდულ ტერიტორიაზე. ათასობით ქალი ჩამოდის სხვადასხვა ქვეყნიდან ფესტივალზე დასასწრებად. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ და პიროვნულ საკითხებზე მოწყობილ სამუშაო შეხვედრებში. ყველას ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ წვლილი შეიტანოს ყოველდღიურ საქმიანობაში, იქნება ეს მზარეულობა, დასუფთავება თუ სხვა სახის საქმიანობა... უზრუნველყოფილია მოქნილი საგადასახადო სისტემა და ბავშვებზე ზრუნვის სერვისი, მაგრამ მამრობითი სქესის წარმომადგენელ ბავშვებს 6 წლის ასაკიდან, ცალკე, სქესობრივად სეგრეგირებულ სივრცეში უვლიან. ფესტივალის

ამეკარი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს სადომაზონისტური პრაქტიკის გამტარებელ საზოგადოებას და მხოლოდ ქალებისთვისაა, ბოლო წლების განმავლობაში კრიტიკის და დავის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ცნობილი მულტიპლიკატორი ელისონ ბერდელი ამ ფესტივალს აღწერს, როგორც “წლიურ უტოპიას” ქალებისათვის.

კულტურული ფემინიზმი

ლესბოსური ფემინიზმის კიდევ ერთი განშტოება – კულტურული ფემინიზმია, რომელიც მიუხედავად სხვადასხვა მიმართულებით გავითარებისა, მაინც იმ საერთო მოსაზრებებსა და ვარაუდებს ეფუძნება, რომელსაც მისი რადიკალურად განწყობილი წინამორბედები იზიარებდნენ. კერძოდ, ეს არის რწმენა იმისა, რომ მამაკაცური კულტურიდან თავის დაღწევა, პატრიარქატის რღვევა სხვა სახის ჩაგვრისგანაც გაათავისუფლებს საზოგადოებას, რომ აქედან უნდა დაიწყოს ანტი-სექსისტურ, ანტი-რასისტულ, ანტი-კაპიტალისტურ და ანტი-იმპერიალისტურ უტოპიებზე ფიქრი.

კულტურულ ფემინიზმში ფართოდ განიხილება ეს საკითხი. თეორიზაცია ეყრდნობა მოსაზრებას, რომ თავად ბავშვის გაჩენის უნარი განსაზღვრავს ქალის ბუნებას და ღირებულებებს, ეს უნარი უბიძგებს მას პაციფიზმი ამჯობინოს ომს, რომ ქალისთვის უცხოა მოგების მოტივი და ის დგას უპირობო სიყვარულის მხარეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება უპირობო სიყვარულის გენდერიზაცია, და ქალური ბუნების, როგორც უფრო უპირატესისა და ამაღლებულის აღიარება.

ხშირად ერთმანეთში ერევათ ლესბოსური სეპარატიზმი და კულტურული ფემინიზმი. სეპარატისტები ქალისა და მამაკაცის ალიანსის დაშლის გზით მამაკაცისთვის ძალაუფლების ჩამორთმევას ემზრობოდნენ, რათა პატრიარქატი დაემხო. კულტურული ფემინიზმი კი ახდენს ქალის თვისებების, როგორც ბიოლოგიური დეტერმინანტების ესენციალიზაციას და დამოუკიდებელი ქალური კულტურის შექმნას სთავაზობს საზოგადოებას.

კულტურულ ფემინიზმთან ყველაზე ხშირად ასოცირდება ამერიკელი პოეტი და ესეისტი ედრიან რიჩი. მისი ნაწერები დედის როლზე საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა ყველანაირი პოლიტიკური პოზიციის მქონე ფემინისტებს შორის, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი 1980 წელს დაწერილი სტატია "სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა და ლესბოსური არსებობა". სექსუალობის მისეული კრიტიკა დღესაც დიდ გავლენას ახდენს სექსუალობის თეორიებზე, ხოლო მის მიერ შემოღებული ლესბოსური კონტინუუმის ცნება საფუძვლად დაედო კულტურულ ფემინიზმს.

სეპარატისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ლესბოსელობას უპირატესად პატრიარქატის დასამხობად სტრატეგიულად მობილიზებულ პოლიტიკურ პოზიციად წარმოაჩენდნენ, რიჩი ლესბოსელობას ახასიათებს როგორც უწყვეტ კონტინუუმს, ანუ უწყვეტ ჯაჭვს ქალებს შორის, რომელიც აერთიანებთ მათ. რიჩი ამბობს, რომ კავშირის შესუსტება მოხდა კაცების მოთხოვნილებებისა და ქალის შრომაზე კონტროლის გამო და ქალის გზა პიროვნული სრულყოფისა და გათავისუფლებისაკენ სწორედ ამ კავშირის აღდგენაზე გადის.

რიჩისეული ლესბოსური კონტინუუმის ინტერპრეტირებისას დამკვიდრდა ლესბოსელის ცნების შემდეგი მნიშვნელობა, რომ ყველა ქალი ვისაც ემოციურად ინტიმური ურთიერთობა

აქვს სხვა ქალთან, შეიძლება ჩაითვალოს ლესბოსელად. ლესბოსელის ეს მოდელი გვხვდება ისტორიკოს ლილიან ფადერმანის შრომაში, სადაც აღწერილია XIX საუკუნე და XX საუკუნის ადრეული წლებში არსებული ურთიერთობები ქალებს შორის. თავის მხრივ, ფედერმანს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მის ნაშრომში ბუნდოვნადაა გადმოცემული ფიზიკური სიახლოვის მნიშვნელობა იდენტობის ჩამოყალიბების საკითხში.

რამაცნია და კრიტიკა

დროთა განმავლობაში ლესბოსელი ფემინისტების საუბრები უნივერსალურ ქალურ ერთიანობაზე კრიტიკის ობიექტი გახდა. ფერადკანიანი და მუშათა კლასის წარმომადგენელი ქალები დამატებით რასობრივ და კლასობრივ დისკრიმინაციას განიცდიდნენ და თვლიდნენ რომ ფემინიზმი მათ პრობლემატიკას სათანადო ყურადღებას არ აქცევდა.

ჩერი მორაგასა და გლორია ანზალდუას შრომა "ეს ხიდი ჩემი ზურგია: რადიკალი ფერადკანიანი ქალების ნაწერები" (This Bridge Called My Back: Writings by Radical Women of Color, 1981) აკრიტიკებს ლესბოსელი და სხვა ფემინისტების ნაშრომებს და არასრულყოფილს უწოდებს მათ, რადგან ისინი ვერ ახდენდნენ მრავალმხრივი ჩაგვრის პრობლემატიკის სათანადო გააზრებას და ამით უფრო უწყობდნენ ხელს რასობრივ და კლასობრივ სეგრეგაციას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სტრუქტურების რღვევის მომხრენი იყვნენ. ამ კრიტიკამ მნიშვნელოვანი დებატები გამოიწვია ფემინისტ აქტივისტებსა და ინტელექტუალურ წრეებში. ამის შედეგად შეიქმნა ახალი პოლიტიკური სტრატეგიები, რომელიც უარყოფდა სეპარატისტულ პოლიტიკას და კოალიციის შენებისკენ იყო მიმართული.

1970-იან წლებში ლესბოსელ ფემინისტთა მტკიცე სექსუალური პოლიტიკისაგან ფრუსტრაციამ კონფრონტაციები გამოიწვია, რომლის მთავარი საგანი სექსუალური თვითგამონახტვა და ტრანსგენდერული საკითხები იყო. ლესბოსელ სადომაზონისტ ფემინისტთა ჯგუფს, რომელსაც სამოისტებად მოიხსენიებდნენ, არ მისცეს სან ფრანცისკოს ქალთა გაერთიანების წევრობის უფლება. საპასუხოდ სამოის ჯგუფის წევრმა პატრიკ კალიფია-რაისმა (პეტ კალიფია) საჯაროდ განაცხადა, რომ ლესბოსელთა სექსუალური პოლიტიკა სექსუალური რეპრესიის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა.

ცოტა ხნის შემდეგ ლესბოსელ ფემინისტთა ჯგუფმა სცადა, ჩაეშალათ აკადემიკოსთა მიერ ორგანიზებული კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა ქალური სექსუალობის ანალიზს, რაც ცენზურისა და არატოლერანტობის გამოვლინებად ჩაითვადა. 1990-იან წლებში ტრანსსექსუალები და ქვიერ აქტივისტები რეგულარულად აპროტესტებდნენ არაბიოლოგიური ქალების გამორიცხვის პოლიტიკას "მხოლოდ ქალებისთვის" ჩატარებული ღონისძიებებიდან.

დასკვნა

ლესბოსურმა ფემინიზმმა დიდი გავლენა მოახდინა არაერთი თაობის წარმომადგენელი ქალის როგორც პირად, ასევე პოლიტიკურ მდგომარეობაზე. 1972 წელს უკვე მოხდა ქალებს შორის ინტიმური კავშირის ინსტიტუციონალიზაცია, 1973 წელს შესაძლებელი გახდა ლესბოსელ მომღერალთა აუდიო ჩანაწერების და ლესბოსურ თემაზე შექმნილი წიგნების

გამოცემა და შექმნა, დასწრება მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილ ღონისძიებებზე. საინტერესოა, რომ ბევრი დღესაც ახდენს ლესბოსურ ფემინიზმთან თვითიდენტიფიკაციას.

მაგრამ შიდა დაპირისპირებებმა რასობრივ და სექსუალურ პოლიტიკას შორის ლესბოსელ ფემინისტებში თავისთავად იდეოლოგიურ შეზღუდვებთან შეჯახება გამოიწვია. 1990 წელს ფემინისტთა ახალი თაობა მოდის, რომელიც საკუთარ თავს "მესამე ტალღას" უწოდებს. იგი ინარჩუნებს ფემინისტური მოძრაობის რამდენიმე ადრეულ შეხედულებას, მაგრამ პრიორიტეტულს ხდის ანტი-რასისტულ, ანტი-კოლონიალურ, ქვიერ და გენდერზე დაყრდნობილ თეორიულ ბრძოლას. ამ ცვლილებების მიუხედავად, მიჩიგანის ქალთა მუსიკალური ფესტივალი დღემდე წარმატებით იმართება, იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ "მხოლოდ ქალებისთვის" განკუთვნილი სივრცის სურვილი ჯერ კიდევ არსებობს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ლესბოსური ფემინიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, დღეს უფრო ნაკლებ ქალში პოულობს გამოძახილს, ვიდრე ეს 1970-1980-იან წლებში ხდებოდა.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ხარჩილაკამ